

საკონსტიტუციო ცვლილებები

საქართველოს პარლამენტის 22 დეკემბრის დადგენილებით, საყოველთაო-სახალხო განხილვისთვის გამოქვეყნდა საკანონმდებლო ორგანოში პრეზიდენტის ინიციატივით წარმოდგენილი კანონპროექტი საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

თავდაპირველად, დათქმის სახით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლება მოვალეა, დაიცვას კონსტიტუცია და მეტიც, ვალდებულია, მოქალაქეებში გააღვივოს კონსტიტუციისადმი, როგორც ქვეყნის უზენაესი კანონისადმი, პატივისცემის შეგრძნება. ხოლო ის, რომ კონსტიტუციის ხშირი ცვლილება, რასაც 2004 წლის განმავლობაში მხოლოდ ახალი ხელისუფლების პირობებში უკვე სამჯერ ჰქონდა ადგილი, მოქალაქეებში მის გათავისებასა და, შესაბამისად, პატივისცემის გრძნობის აღზრდას ხელს არ უწყობს, აქსიომაა. სწორედ ამიტომ მივიჩნევთ, რომ კონსტიტუციის ცვლილება მხოლოდ განსაკუთრებული აუცილებლობით უნდა იყოს განპირობებული და სკეპტიციზმით განხილული. ამ პოზიციის ფონზე, გთავაზობთ ასოციაციის მოსახრებათა პირველ ნაწილს ცვლილებებით გათვალისწინებულ იმ საკითხებზე, რომლებიც საკონსტიტუციო და უზენაეს სასამართლოს შეეხება.

საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების ახალი წესი

- წარმოდგენილი ცვლილებების პროექტით იცვლება საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების წესი. დღესდღეობით საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნაში ხელისუფლების სამივე შტო მონაწილეობს – აღმასრულებელი ხელისუფლება მონაწილეობს მისი 3 წევრის საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშვნის სახით, უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება ანუ პარლამენტი ირჩევს სასამართლოს 3 წევრს, ხოლო სასამართლო ხელისუფლება სასამართლოს შექმნაში მონაწილეობს მაშინ, როდესაც მის 3 წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო. კონსტიტუციის შემუშავებისას დღეს არსებული მოდელი სწორედ ამ ლოგიკით შეიქმნა.

შემოთავაზებული ცვლილებებით კი სასამართლოს 9-ვე წევრს წარადგენს პრეზიდენტი და ამტკიცებს პარლამენტი.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ცვლილება გაუმართლებელი და ყოველგვარ დასაბუთებას მოკლებულია. წარმოდგენილი არ ყოფილა და საეჭვოა, რომ საერთოდ არსებობდეს სამართლებრივი არგუმენტაცია, რითაც ამგვარი ცვლილებების აუცილებლობა იქნებოდა დასაბუთებული.

პროექტის ავტორთა და ინიციატორთა დუმილი არგუმენტაციასთან დაკავშირებით იწვევს ეჭვს, რომ ამ ცვლილების უკან დგას მხოლოდ და მხოლოდ სურვილი, კიდევ უფრო გაძლიერდეს პრეზიდენტის

გავლენა საკონსტიტუციო სასამართლოზე და შეიზღუდოს კონტროლი საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე.

- გარდა ამისა, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 10 წლით მაშინ, როდესაც კონსტიტუციაში არსებობდა შესაძლებლობა, მოსამართლე დანიშნულიყო „არანაკლებ ათი წლით.“ ეს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ცვლილება თავისთავად მრავლისმეტყველია, ვინაიდან ასეთი ფორმულირება იძლეოდა საშუალებას, რომ ორგანული კანონით საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების გამწესების ვადა 10 წელზე მეტი ხანგრძლივობით განსაზღვრულიყო. წარმოდგენილი ცვლილებების პროექტი კი ასეთ საშუალებას გამორიცხავს.

შესაბამისად, ისმის კითხვა – თუ ცვლილებები ძირითადად სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გაზღვისაკენ არის მოწოდებული, რატომ იზღუდება მოსამართლის 10 წელზე მეტი ვადით გამწესების შესაძლებლობა მაშინ, როდესაც ეს ფაქტორი სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ აპრობირებულ საშუალებას წარმოადგენს?

იმედი გვაქვს, რომ აღნიშნული ცვლილება მხოლოდ და მხოლოდ ავტორის უყურადღებო დამოკიდებულების შედეგია და არა წინასწარგანზრახული ინიციატივა.

- ცვლილებების პროექტით გათვალისწინებულია საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ერთი და იმავე პირის ორჯერ არჩევის შესაძლებლობა.

მიგვაჩნია, რომ ეს შემოთავაზება არათუ გააძლიერებს სასამართლოს დამოუკიდებლობას, არამედ ხელს შეუწყობს მათი მხრიდან უფრო მეტი თვინიერების გამოვლენას – მეორე ვადით დანიშნვის პერსპექტივით მოხიბლული მოსამართლეები მიდრეკილნი იქნებიან იმისკენ, რომ არ გაამწვაონ ურთიერთობა იმ ორგანოებთან, რომლებმაც მოგვიანებით მათი ხელახალი დანიშნვის საკითხი უნდა გადაწყვიტონ. აქედან გამომდინარე, ისინი მიიღებენ სწორედ პრეზიდენტისა და პარლამენტის სასარგებლო გადაწყვეტილებებს.

2. საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციები

2.1 არჩევნების, რეფერენდუმის კონსტიტუციურობის საკითხი

წინამდებარე პროექტით იზღუდება საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება რეფერენდუმთან და არჩევნებთან მიმართებაში. დღესდღეობით, საკონსტიტუციო სასამართლო “იხილავს რეფერენდუმებისა და არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხთან დაკავშირებულ დავას“. შემოთავაზებული პროექტი კი ავიწროებს ამ ფუნქციას და განსაზღვრავს, რომ სასამართლო იხილავს რეფერენდუმებისა და არჩევნების „დანიშნვის/არდანიშნვის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას“.

შესაბამისად, ავტორთა მიზანს წარმოადგენს, შეუძლებელი გახადოს, ოდესმე ეჭვქვეშ დადგეს საკითხი, თუ რამდენად იყო დაცული კონსტიტუციით გარანტირებული პრინციპები არჩევნების ან რეფერენდუმის დროს. გამომდინარე აქედან, სასამართლოს პრაქტიკულად უფლება ერთმევა, მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნოს არჩევნების და რეფერენდუმის შედეგები.

აღბათ, ზედმეტიც კი არის ჩვენი პოზიციის ხაზგასმა ამ საკითხთან დაკავშირებით. ამგვარი შეზღუდვა, რა თქმა უნდა, მიუღებელია, მით უფრო იმ ხელისუფლებისგან, რომელიც არჩევნების ტოტალური გაყალბების გამო აღშფოთებული ხალხის ნების გამოვლენის შედეგია და რომელიც არათუ ხელს არ უწყობს ასეთი ნების გამოვლინების სამართლებრივი საშუალებების გაფართოებას, არამედ მთლიანად ართმევს მოქალაქეებს უფლებას, სამართლებრივი მეთოდებით კითხვის ნიშნის ქვეშ დასვას არჩევნების, რეფერენდუმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი.

2.2 ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხთან დაკავშირებული ცვლილებები

შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებებით კონსტიტუციის 89-ე მუხლის 1-ლი პუნქტის “ვ” ქვეპუნქტში სიტყვები “ნორმატიული აქტების” უნდა შეიცვალოს ფრაზით – “საქართველოს პარლამენტის, აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის და მთავრობის წევრების ნორმატიული აქტების”.

აღნიშნული ცვლილებით იზღუდება იმ აქტების ჩამონათვალი, რომელთა კონსტიტუციურობის საკითხის დასმა შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე. შემოთავაზებული ცვლილება კონტროლს მიღმა ტოვებს საკონსტიტუციო სასამართლოს მთელ რიგ ნორმატიულ აქტებს, რომლებსაც ისევე შეუძლიათ შელახონ კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებული უფლებები, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის სფეროში შემავალი.

შესაბამისად, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის გარკვევის უფლება სამუდამოდ წავართვათ საქართველოს მოქალაქეებს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებები. ისინი ძალზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მოქალაქეთა უფლებებზე და ყოველად დაუშვებელია მათი გამოყვანა საკონსტიტუციო სასამართლოს კონტროლის სფეროდან. უფრო მეტიც, პრეზიდენტის ნებისმიერი ნორმატიული ხასიათის ბრძანებულება შესაძლებელია გასაჩივრებულ იქნას საკონსტიტუციო სასამართლოში, ხოლო ცვესკოს დადგენილება, რომელმაც შესაძლოა, შელახოს მოქალაქის ისეთი მნიშვნელოვანი უფლება, როგორც არჩევანის თავისუფლება, საერთოდ ამოვარდნილია საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის სფეროდან.

გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის შეზღუდვა არ არის მისაღები, ვინაიდან სამართალწარმოების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის თანახმად, *competence de la competence*, რაც კანონმდებლობაშიც

არის გამოხატული, თავად განმარტავს, განეკუთვნება თუ არა მის კომპეტენციას ამა თუ იმ საკითხის განხილვა.

კულუარულ დებატებში უნგრეთი ხშირად მოიხსენება, როგორც ერთ-ერთი მისაბაძი ქვეყანა საკონსტიტუციო სამართალწარმოების თვალსაზრისით. უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლომ მართლაც შეასრულა ის ფუნქცია, რასაც საკონსტიტუციო კონტროლი ჰქვია. უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება: “სამართლის ნორმებისა და აგრეთვე სახელმწიფო კონტროლის სხვა სამართლებრივი საშუალებების კონსტიტუციურობის შემოწმება.” უნგრეთში მართლაც ხორციელდება აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლი და თანაც კონტროლის სფერო გაცილებით ფართოა, ვინაიდან სასამართლო ამოწმებს არა მხოლოდ ნორმების, არამედ სახელმწიფო კონტროლის სამართლებრივი საშუალებების კონსტიტუციურობასაც კი.

2.3. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების უფლება.

კონსტიტუციური ცვლილებების პროექტის თანახმად 89-ე მუხლის პირველ პუნქტს ემატება შემდეგი შინაარსის ვ¹ ქვეპუნქტი¹:

“ვ¹ საქართველოს სახალხო დამცველის ან მოქალაქის სარჩელის საფუძველზე იხილავს კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებების, განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით”.

ამასთან ერთად, სახალხო დამცველს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება ენიჭებათ, ეჭვქვეშ დააყენონ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობა და ამ საკითხის განსახილველად მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს.

პროექტის ავტორთა განზრახვა გასაგებია. მათ, როგორც ჩანს, მოქალაქეთათვის დამატებითი გარანტიების შექმნა სურთ, რადგან რიგ შემთხვევებში (პარადოქსია, მაგრამ) მართლმსაჯულების განმახორციელებელი სამსაფეხურიანი საერთო სასამართლოთა სისტემა დარღვეული უფლების აღდგენისთვის საკმარისი არ არის.

საყურადღებო და მრავლისმეტყველია თავისთავად ის ფაქტი, რომ სასამართლო გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლი პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის აზერბაიჯანის, ტაჯიკეთისა და ბელორუსიის კონსტიტუციებით არის აღიარებული. თუმცა, სამივე ქვეყნის ძირითადი კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას ამ კატეგორიის საქმეებთან მიმართებაში საკმაოდ ზღუდავს და კონსტიტუციურ კონტროლს მხოლოდ უზენაესი

¹ სანამ შემოთავაზებული სიახლის განხილვას დავიწყებდეთ, უდა აღინიშნოს ერთი ტექნიკური დეტაილს შესახებ, საქართველოს კონსტიტუცია უკვე შეიცავს 89-ე მუხლის, პირველი პუნქტის, ვ¹ ქვეპუნქტს, იგი კონსტიტუციას 2004 წლის 01.07.2004 დაემატა, და შეეხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ საქართველოს კონსტიტუციური კანონისდარღვევის თაობაზე დავის განხილვას. შესაბამისად შემოთავაზებული დებულება უნდა დაინიშნოს როგორც ვ² ქვეპუნქტი, და არა ვ¹

სასამართლოს გადაწყვეტილებებს უქვემდებარებს. შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად კი, როგორც წესი, საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგნად მხოლოდ ის გადაწყვეტილება იქცევა, რომელიც ნორმის განმარტებებს შეიცავს.

ევროპის ქვეყნებს შორის საკონსტიტუციო კონტროლის ანალოგიური სისტემის კლასიკურ მაგალითს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს. ძირითადი კანონის ფორმულირება ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ ბუნდოვანია და იგი მდგომარეობს შემდეგში: “ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო წყვეტს საქმეებს კონსტიტუციური საჩივრების შესახებ, რომლის შეტანაც შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც ამტკიცებს, რომ მისი რომელიმე ძირითადი უფლება ან მე-20 მუხლის მე-4 პუნქტით, 33-ე, 38-ე, 101-ე და 104-ე მუხლებით დადგენილი უფლებები დარღვეულია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ.” (ძირითადი კანონის §93 4 a)) ხელისუფლებაში, როგორც მისი ერთ-ერთ შტო, სასამართლო ხელისუფლებაც მოიაზრება.

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის §90-ის მეორე პუნქტის თანახმად, “თუ ასეთი დარღვევის წინააღმდეგ ჩვეულებრივი წესით დასაშვებია სამართლებრივი დაცვის საშუალებები, მაშინ კონსტიტუციური საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი ამოწურულია.”

მსგავსი მოდელი მოქმედებს უნგრეთშიც, რომლის საკონსტიტუციო სასამართლოც, როგორც ზემოთ აღინიშნა, აღმოსავლეთ ევროპის ყველაზე ძლიერ სასამართლოდ არის მიჩნეული.

ზემოთმოყვანილი ქვეყნების საკონსტიტუციო წარმოების მაგალითებიდან რამდენიმე პრინციპი იკვეთება:

1. საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებული გადაწყვეტილება, განჩინება ბოლო ინსტანციის სასამართლოს აქტს უნდა წარმოადგენდეს;
2. ის უნდა შეიცავდეს ნორმას, რომელიც სახელმძღვანელო განმარტებად იქცევა ქვემდგომი სასამართლოებისათვის;

ამ მოდელს თეორეტიკოსები იმით ამართლებენ, რომ უმაღლესი სასამართლოების აქტები ”კვაზინორმატიულ” ხასიათს ატარებს და პრინციპში მითითებებს შეიცავს ქვედა ინსტანციის სასამართლოებისათვის.

იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციის შეცვლისას დაცულ იქნეს გარკვეული ”ოქროს შუალედი” და არ მოხდეს იმ საზღვრის დარღვევა, საიდანაც სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა იწყება, აუცილებელია, საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის ობიექტად საერთო სასამართლოთა აქტების გასაჩივრების მკაცრად შეზღუდული შემთხვევების რეგლამენტირება.

დაუშვებლად მივიჩნევთ განურჩევლად ყველა ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობას, რაც ცვლილებების წარმოდგენილი ვერსიითაა მოცემული. ზემოთ მოყვანილი არგუმენტების გარდა, ეს აზრს დაუკარგავდა საერთო სასამართლოების ინსტანციათა იერარქიულობას და კასაციას, რომლის დანიშნულებასაც გადაწყვეტილების, განაჩენის კანონიერების დადგენა წარმოადგენს.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, მეტად მნიშვნელოვანია, თუ როგორ მოიაზრებს კანონპროექტის ავტორი სასამართლოს აქტის კონსტიტუციასთან

შეუსაბამოდ გამოცხადების სამართლებრივ შედეგს. გახდება თუ არა იგი გადაწყვეტილების გაუქმების ან სასამართლოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, მიენიჭება თუ არა მას უკუქცევითი ძალა და ა. შ. ამ კითხვებზე ცვლილებათა პროპონენტების პასუხების არსებობა საკითხის უკეთ გაანალიზების საშუალებას მოგვცემდა.

აღსანიშნავია, რომ დღევანდელი კანონმდებლობა ნაწილობრივ იძლევა იმ ეფექტის მიღწევის შესაძლებლობას, რაც ცვლილებების მიღებით ივარაუდება. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი შესანიშნავ მექანიზმს იცნობს. კერძოდ, მისი 26-ე მუხლის, მე-3 პუნქტის თანახმად, **”ნორმატიული აქტის შემოწმებისას საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში იღებს სადავო ნორმის არა მარტო სიციფასიციფით მნიშვნელობას, არამედ მასში გამოსატყულ ნამდვილ ამრსა და მისი გამოყენების პრაქტიკას, აგრეთვე, შესაბამისი კონსტიტუციური ნორმის არსს”**, ანუ პირს შესაძლებლობა ენიჭება, გაასახივროს ნორმატიული აქტის ის შინაარსი, რაც მასში ნორმის შემფარდებელმა, მათ შორის, რა თქმა უნდა, სასამართლომაც ჩადო. ამ მექანიზმის დარღვეული უფლების ეფექტური აღდგენის მძლავრ იარაღად ქცევისათვის უფრო მართებული იქნებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებებისთვის სამართლებრივი შედეგის გამოწვევის შესაძლებლობის მიცემა და კონსტიტუციის შეცვლის ნაცვლად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მსგავსად, ცვლილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელება და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოცემული ნორმისათვის ახლად აღმოჩენილი გარემოების მნიშვნელობის მინიჭება.

შემოთავაზებული მოდელი შესაძლებელია მისაღებიც იყოს, თუკი მხედველობაში მივიღებთ უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის დღევანდელ ფუნქციას. დღესდღეობით, საქმის უზენაესი სასამართლოს პალატის საქმის განმხილველ შემადგენლობას მოტივირებული განჩინებით შეუძლია საქმე განსახილველად გადასცეს დიდ პალატას, თუ:

ა) საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;

ბ) საქმის სირთულიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღება საჭიროებს ნორმის ახლებურ განმარტებას;

გ) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას.”

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ნორმის შემფარდებელი მას სავალდებულო ძალის მქონე შინაარსით ტვირთავს. სწორედ ამგვარ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს უზენაესი სასამართლოს მხრიდან ”კვაზისაკანონმდებლო პროცესთან”, საკონსტიტუციო კონტროლის დამატებითი მექანიზმის არსებობა ყველაზე მეტად იქნებოდა გამართლებული.

შემოთავაზებული ცვლილებების პროექტის 90-ე მუხლის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა იმუნიტეტის მოხსნის საკითხს წყვეტს საქართველოს პარლამენტი მაშინ, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაკავების ან დაპატიმრების, მათი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის და პირადი ჩხრეკა შესაძლებელია მხოლოდ თავად საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობით.

ცალსახაა, რომ წარმოდგენილი პროექტი საკონსტიტუციო სასამართლოზე პარლამენტის გავლენის გაზრდას ემსახურება. კონსტიტუციის შემუშავების

ეტაპზევე ვერსია, რომ იმუნიტეტის მოხსნის საკითხი პარლამენტს გადაეწვევია, უარყოფილი იქნა ორი მიზეზის გამო – ერთი, რომ პარლამენტი პოლიტიკური ორგანოა და, შესაბამისად, ამ საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილების მისთვის მინიჭება სასამართლოზე პოლიტიკური ზეგავლენის საფრთხეს გამოიწვევდა და მეორე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ კანონმდებლები თითოეული შემთხვევის არსში კარგად გაერკვიონ.

ჩვენი აზრით, ეს მოსაზრებები დღესაც ძალაში რჩება და პარლამენტის დატვირთვა ამგვარი ფუნქციით კვლავაც გაუმართლებელია.

გარდა ამისა, ცვლილებების მომხრეთა დუმილი იმასთან დაკავშირებით, თუ რა განსაკუთრებული მიზეზები განაპირობებს ასეთი უფლების საკონსტიტუციო სასამართლოდან პარლამენტის ხელში გადანაცვლებას, აძლიერებს ეჭვს, რომ იგი სასამართლოზე ზეგავლენის ახალი ბერკეტის შექმნას ემსახურება. ეს ფაქტორი მას კიდევ უფრო მიუღებელს ხდის.

4. 2.3. მოსამართლეთა გათავისუფლება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისათვის პრინციპულად მიუღებელია შემოთავაზებული კანონპროექტის მე-2 მუხლი, რომელიც “რეორგანიზაციის” საბაბით საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების (ამ უკანასკნელის თავმჯდომარის გარდა) მოქმედი მოსამართლეებისათვის უფლებამოსილების შეწყვეტას ითვალისწინებს.

გვინდა, მკითხველს შევახსენოთ წინამდებარე პროექტის პრეისტორია. ასეთი შემოთავაზება პირველად გამოხატული იყო ასევე პრეზიდენტის ინიციატივით წარმოდგენილ ცვლილებათა პაკეტში, რომელიც “საკონსტიტუციო სასამართლოს” და “უზენაესი სასამართლოს” შესახებ კანონში ცვლილებებსაც მოიცავდა და მსგავსი ფორმულირებით, ოღონდ არა კონსტიტუციის, არამედ ორგანული კანონის ცვლილების საშუალებით, გვთავაზობდა მოსამართლეთა გათავისუფლებას. მაშინ ამ ინიციატივას არასამთავრობო სექტორი შეეწინააღმდეგა, რომელმაც უპირველეს არგუმენტად მისი არაკონსტიტუციურობა დაასახელა.

ავტორებმა მაშინ ეს არგუმენტაცია ყურად იღეს, თუმცა, იგივე ინიციატივები ამჯერად საკონსტიტუციო ცვლილების ფორმით ჩამოაყალიბეს.

გვინდა, აღვნიშნოთ – ავტორებს ავიწყდებათ, რომ კონსტიტუციის ერთ ჩამოყალიბება სულაც არ ნიშნავს ცვლილებების სამართლებრიობას. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ისეთსავე შეცდომას სჩადიან, როგორც ჰიტლერის მესამე რაიხის დროს იყო – მიუხედავად იმისა რომ ებრაელთა დისკრიმინირების საკითხი გერმანიის უზენაეს კანონში იყო გამოსატული, იგი სულად ვერ გახდა სამართლებრივი.

თავდაპირველად, ყურადღება ავტორთა ზრახვებს გვინდა მივაქციოთ, რომელთა შემთხვევაშიც, გვსურს, კეთილსინდისიერების პრეზუმპციიდან ამოვიდეთ.

ამ ინიციატივის ძირითად მიზეზად საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს დღევანდელ მოსამართლეთა არაკომპეტენტურობა და კორუმპირებულობა სახელდება ხოლმე.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა გათავისუფლება ასეთი მექანიზმებით მით უფრო მიუღებელია იმიტომ, რომ დღევანდელი კანონმდებლობა ამ პრობლემის დაძლევისათვის ისედაც ყველა საშუალებას იძლევა – ეს იქნება ჩვეულებრივი სისხლის სამართლებრივი პროცედურები, დისციპლინური დევნა თუ საკვალიფიკაციო გამოცდები, რომელსაც კანონი არეგულირებს.

რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს, მათ მიმართ ასეთი ღონისძიების გატარების მიზეზად ძირითადად მოსამართლეთა პოლიტიკური მოქნილობა და მათი მენტალობის ძველმოდურობა მოიხსენიება.

ცხადია, თუ მთელი სასამართლო კორპუსის გათავისუფლება მოხდება ყოველად არაკანონიერი, გამოგონილი და ბუნდოვანი, სამართლებრივ ჩარჩოებს გარეთ მყოფი საფუძვლით, ეს ხელს კი არ შეუწყობს მოსამართლეთა დამოუკიდებლობს, არამედ პირიქით, საბოლოოდ შეარყევს.

რაც შეეხება მენტალიტეტს, გვინდა, ყურადღება ქვემოთ მოყვანილ ცხრილს მიაქციოთ.

სახელი, გვარი	დაინიშნა	უფლებამოსილების ვადა ბასღის
ჯონი ხეცურიანი	6 ივლისი, 2001 წ.	6 ივლისი, 2011 წ.
ბესარიონ ზოიძე	2 ოქტომბერი, 1999 წ.	2 ოქტომბერი, 2009 წ.
ოთარ ბენიძე	2 ივლისი, 1996 წ.	2 ივლისი, 2006 წ.
იაკობ ფუტყარაძე	25 ივნისი, 1996 წ.	25 ივნისი, 2006 წ.
ნიკოლოზ შაშკინი	2 ივლისი, 1996 წ.	2 ივლისი, 2006 წ.
ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი	7 ივნისი, 1996 წ.	7 ივნისი, 2006 წ.
ლამარა ჩორგოლაშვილი	7 ივნისი, 1996 წ.	7 ივნისი, 2006 წ.
ზაურ ჯინჯოლავა	25 ივნისი, 1996 წ.	25 ივნისი, 2006 წ.
ვახტანგ გვარამია	24 სექტემბერი, 2003 წ.	24 სექტემბერი, 2013 წ.

ამ ცხრილის მეშვეობით გვსურს, შეგახსენოთ, რომ მოსამართლეთა უმრავლესობის უფლებამოსილების ვადა ერთი წლის თავზე ისედაც იწურება. ყოველად არარაციონალური იქნება, არგუმენტაციას რომც დავეთანხმოთ, მათ თანამდებობაზე ყოფნის კიდევ ერთი წლის საფასურად საბოლოოდ დაემარხოთ საქართველოში კანონის უზენაესობის დამკვიდრების იდეა.

მივიჩნევთ, რომ შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებები რადიკალურად სცილდება კანონის უზენაესობის პრინციპებს და არ შეესაბამება

არც საერთაშორისო სამართლის და არც საქართველოს კონსტიტუციის მოქმედ ნორმებს.

კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის II პუნქტის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

ევროპის საბჭოს ეგიდით მიღებული “მოსამართლეთა სტატუსის შესახებ” ევროპის ქარტიის 3.4 პუნქტის მიხედვით: “სასამართლოს მოქმედი მოსამართლე არ შეიძლება სხვა სასამართლო თანამდებობაზე დაინიშნოს ან სხვაგან გამწესდეს, თუნდაც დაწინაურების გზით, მისი თავისუფალი თანხმობის გარეშე. ამ პრინციპიდან გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გადაყვანა გათვალსიწინებული ან შეფარდებულია დისციპლინარული სანქციის წესით, სასამართლო სისტემის კანონიერი შეცვლისას და დროებითი გამწესებისას ახლომდებარე სასამართლოში მისი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, თუ გამწესების ვადის ხანგრძლივობა მკაცრად არის შეზღუდული სტატუსით”. უფრო მეტიც, საერთაშორისო სამართალი საერთოდ არ იცნობს “რეორგანიზაციას”, როგორც მოსამართლეთა სამსახურებრივი ვადის შეწყვეტის საფუძველს (იხ. ევროპის ქარტია “მოსამართლეთა სტატუსის შესახებ”, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1994 წლის 13 ოქტომბრის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისადმი “მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტურობისა და როლის შესახებ”, გაეროს ეგიდით მიღებული “სასამართლო ორგანოთა დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები”), ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა იქცევა სრულ ფიქციად – ამ საბაბით ხომ ნებისმიერი რეჟიმი შეძლებს მისთვის არასასურველი მოსამართლეთა კორპუსის დათხოვნას.

კიდევ ერთი საფუძველი, რატომაც დაუშვებელია ამგვარი რამის განხორციელება, ევროპის საბჭოს რეკომენდაციებია. ევროპის საბჭოს რეკომენდაციებში საქართველოს ხელისუფლების მიმართ ცალსახადაა მოთხოვნილი, რომ სასამართლოს რეფორმა საქართველომ ევროპის საბჭოს ზემოთმოყვანილი სტანდარტების მკაცრი დაცვითა და ევროპულ ექსპერტებთან ახლო თანამშრომლობით განახორციელოს.

გარდა ამისა, თუ საკანონმდებლო ხელისუფლებას მიეცემა უფლება, თავისი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს დაითხოვოს მოსამართლეთა მთელი კორპუსი, ე.ი. სასამართლო ხელისუფლება, მაშინ აზრი დაეკარგება საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის IV პუნქტს, რომლის მიხედვითაც “სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით”, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების სამი შტოს კომპეტენცია ისე უნდა იყოს რეგლამენტირებული კონსტიტუციით, რომ ხელისუფლების არც ერთ შტოს არ უნდა შეეძლოს მეორე შტოს ფუნქციების მითვისება;

აუცილებელია, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება მოქმედებდეს მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში და არა თავისი შეხედულების მიხედვით. საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ სასამართლო ხელისუფლებისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მაშინ იქნებოდა კანონიერი, თუ ასეთ უფლებას კონსტიტუცია საკანონმდებლო ხელისუფლებას მიანიჭებდა. (ცოტა არ იყოს, თითიდან გამოწოვილი არგუმენტი!)

გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის II პუნქტისა და 90-ე მუხლის II პუნქტის მიხედვით, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების მოსამართლეთა ვადა განისაზღვრება 10 წლით. კონსტიტუციით განსაზღვრული ვადა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის რეალურად უზრუნველყოფის უმნიშვნელოვნესი გარანტიაა, რის გარეშეც მოსამართლეთა დამოუკიდებლობა აზრს კარგავს.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ შემოთავაზებული ცვლილებების ფონზე, სულ ცოტა, არადამაჯერებელია ხელისუფლების ინტერესი, დაცვის უფრო მაღალი გარანტიები შესთავაზოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს, რადგან მომავალში, უკვე დამკვიდრებული საშიში პრეცედენტის გათვალისწინებით, ხელისუფლების სათავეებში მოსული ნებისმიერი პოლიტიკური ძალა შეძლებს მისთვის მიუღებელი სასამართლო კორპუსის დათხოვნას “რეორგანიზაციის” საბაბით.